განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“
საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობა.

მოქმედი კანონმდებლობა ძირითადად ორიენტირებულია ძალადობის ფაქტის შემდგომი ურთიერთობების მოწესრიგებაზე და ნაკლები ყურადღება ეთმობა ძალადობის პრევენციას.

კანონპროექტის მიღება ასევე გამოწვეულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლების საჭიროებით და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ (ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი) მექანიზმებთან ერთად საგანმანათლებლო კომპონენტის გააქტიურების აუცილებლობით.

კანონპროექტის შემუშავების ერთ-ერთი მიზეზია ასევე მოძალადის ძალადობრივი ქცევის კორექციის ღონისძიებების გამოყენების უფრო მოქნილი და ეფექტინი მექანიზმის შექმნის აუცილებლობა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია გაზარდოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობის ეფექტიანობა, აღმოფხვრას არსებული ხარვეზები და ხელი შეუწყოს პრევენციაზე ორიენტირებული მიდგომის დამკვიდრებას. ასევე, მნიშვნელოვანია მოძალადის ქცევის კორექციის ღონისძიებების გამოყენების მექანიზმის სრულყოფა, რაც ხელს შეუწყობს ძალადობის გამეორების რისკის შემცირებას.

დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ძალადობის რისკის შემცირება შეუძლებელია მხოლოდ პასუხისმგებლობის ზომების დაუსრულებელი გამკაცრებით და მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების გაზრდით. აღნიშნულ ღონისძიებებს გარკვეულ ზღვრამდე აქვს დადებითი ეფექტი, თუმცა ძალადობის პრევენციისა და მისი განმეორების რისკების რეალურად

შემცირებისთვის, ასევე, აუცილებელია მოძალადის ქცევის კორექციაზე ორიენტირებული ნაბიჯების გადადგმა.

კანონპროექტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ძალადობის ფაქტზე პოლიციის რეაგირების ღონისძიებების დატალური რეგლამენტაცია და მსხვერპლის უსაფრთხოების დაცვის ზომების გაუმჯობესება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის შესაბამისად, ცვლილება შედის კანონის მე-7 მუხლში, რომელშიც მიეთითება, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების (სკოლების), პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამებში ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული კომპონენტების გათვალისწინებას.

კანონპროექტის თანახმად, ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით მიღებულ შეტყობინებაზე, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესის მიხედვით, მოახდენს ძალადობის განმეორების რისკების შეფასებას და რისკის სიმძიმის მიხედვით მიიიღებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ;

ბ) შემაკავებელი ორდერის გამოცემაზე უარის თქმის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ინციდენტის შესწავლის შემდეგ არ გამოიკვეთება შემაკავებელი ორდერის გამოცემის პირდაპირი საფუძველი, თუმცა ინციდენტის ხასიათიდან გამომდინარე შეიძლება არსებობდეს ძალადობის განმეორების რისკი, მიღებული შეტყობინების ხასიათის და ფაქტის შესწავლისას გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომელი ვალდებული იქნება გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 7 დღისა, გადაამოწმოს პირველადი შემოწმების შემდგომ არსებული მდგომარეობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახოს ოქმში. ინციდენტის შემდეგ არსებული მდგომარეობის გადამოწმების მექანიზმი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პოლიციის ეპიზოდური ჩართულობა შეიცვალოს პროცესზე დაკვირვებისა და განგრძობადი რეაგირების პროცესით.

კანონპროექტით იცვლება დამცავი ორდერის გამოცემისას მოძალადის მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის რეგულაციები. პროექტის თანახმად, დამცავი ორდერის გამოცემისას, მოძალადისთვის კურსის დანიშვნა იქნება არა მოსამართლის დისკრეცია, არამედ სავალდებულო საკანონმდებლო დანაწესი.

მოსამართლეს ექნება უფლება განსაზღვროს კურსის საფასურის გადახდის საკითხი, რაც რეგულირდება საკანონმდებლო პაკეტში შემავალი „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით.

კანონპროექტით, ცვლილება შედის მე-11 მუხლში და იმ პირთა ჩამონათვალს, ვისაც უფლება აქვს მიმართოს შესაბამის ორგანოს შემაკავებელი ან დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით, დაემატება სოციალური მუშაკიც.

მოქმედი რეგულაციის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს მსხვერპლს მის მიმართ ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი წესით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე პატიმრობის კოდექსის 71^6 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასვლის შესახებ. კანონპროექტით პოლიციის აღნიშნული ვალდებულება ფართოვდება და მას ინფორმირებასთან ერთად ასევე დაეკისრება მსხვერპლის მიმართ ძალადობის განმეორების რისკის შეფასება და შესაბამისი პრევენციული ზომების მიღება. კანონპროექტი ითვალისწინებს პოლიციისთვის შესაძლებლობის მინიჭებას გამოითხოვოს პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და სხვა წყაროებიდან (მსხვერპლის გამოკითხვა, მსჯავრდებულის გამოკითხვა და ა.შ.) მიღებულ ინფორმაციასთან შეჯერებით, მოახდინოს ძალადობის განმეორების რისკის შეფასება და ამის საფუძველზე მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. პოლიციას ეძლევა უფლება, თავისი ინიციატივით გამოსცეს შემაკავებელი ორდერი, თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს პირის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

კანონპროექტით, კანონის მე-16 მუხლს, რომელშიც დარეგულირებულია პოლიციის მოვალეობანი, ემატება მე-7 პუნქტი. ცვლილების თანახმად, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის წესი დადგინდება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა სრულყოფილად აწესრიგებდეს არა მხოლოდ ძალადობის ფაქტზე

გადაწყვეტილების მიღების წესს, არამედ უკვე მიღებული გადაწყვეტილების (დამცავი და შემაკავებელი ორდერის) ეფექტიანი აღსრულების პროცედურებსაც.

კანონპროექტით, ცვლილება შედის 17[1] მუხლის სათაურში და მასში მსხვერპლის ინფორმირებასთან ერთად ასევე მიეთითება პრევენციული ზომების მიღებაც. სათაურში ცვლილება გამოწვეულია ნორმის შინაარსში განხორციელებული ცვლილებით, რომლის თანახმადაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებული იქნება პენიტენციური დაწესებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს მსხვერპლს მის მიმართ ძალადობის ჩამდენი პირის (მოძალადის) პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების, გაქცევის, პატიმრობის კოდექსის 27-ე მუხლით დადგენილი წესით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის, აგრეთვე პატიმრობის კოდექსის 71[6] მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გასვლის შესახებ და გაატაროს ამ კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები. ამ მიზნით, პოლიციის თანამშრომელი უფლებამოსილი იქნება გაესაუბროს მსხვერპლს, დაადგინოს მისი დამოკიდებულება მსჯავრდებული პირის მიმართ, მოიპოვოს ინფორმაცია მსჯავრდებულის დამოკიდებულების შესახებ მსხვერპლისადმი სასჯელის მოხდის პერიოდში, პენიტენციური დაწესებულებიდან გამოითხოვოს მსჯავრდებულის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, ასევე მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ძალადობის განმეორების საფრთხის შესაფასებლად. ძალადობის განმეორების რისკის შეფასების შემდეგ, თუ იარსებებს შემაკავებელი ორდერის გამოცემის საფუძველი, პოლიციელი უფლებამოსილი იქნება თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის თანახმად, დამცავი ორდერის გამოცემისას მოძალადისთვის სავალდებულო იქნება ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის გავლა. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე კურსის საფასურის გადახდის ვალდებულებას დააკისრებს მოძალადეს, მას წარმოეშობა აღნიშნული ხარჯების გაწევის ვალდებულება. თუ მოსამართლე გაათავისუფლებს პირს კურსის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან, აღნიშნული კურსი დაფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, კერძოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან.

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის კომპონენტი გათვალისწინებული იქნეს სასწავლო პროგრამებში. აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად შეიძლება საჭირო გახდეს მასწავლებელთა ნაწილის გადამზადება, რაც დაფინანსდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შესაბამისი საბიუჯეტო სახსრებიდან. აღნიშნული ვალდებულების შესრულება არ არის დაკავშირებული ახალი საგნის დამატებასთან და მისი აღსრულება მოხდება არსებული პროგრამების ფარგლებში ამ კომპონენტის დამატებით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის თანახმად, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს უჩნდება ვალდებულება გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 7 დღისა, გადაამოწმოს პირველადი შემოწმების შემდგომ არსებული მდგომარეობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახოს ოქმში, აღნიშნული არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს, რადგან ამ ვალდებულების შესრულება მოხდება შს სამინისტროს არსებული რესურსით.

კანონპროექტით პოლიციას ეძლევა თავისი ინიციატივით შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილება. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს შემაკავებელი ორდერების რაოდენობის ზრდა, რაც დაფინანსდება შს სამინისტროს არსებული ასიგნებების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის თანახმად, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს უჩნდება ვალდებულება გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 7 დღისა, გადაამოწმოს პირველადი შემოწმების შემდგომ არსებული მდგომარეობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახოს ოქმში, აღნიშნული არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, რადგან დაკავშირებული არ არის ახალი კადრების დამატებასთან და შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადის ზრდასთან.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღებას შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე გაათავისუფლებს მოძალადეს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან, ამ კურსის საფასურის დაფარვა მოხდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დღეს არსებული მდგომარეობით, კურსის ხანგრძლივობა შეადგენს 3 თვეს. უკანასკნელი წლების სტატისტიკური ინფორმაციის თანახმად, წლის განმავლობაში დამცავი ორდერების რაოდენობა

საშუალოდ 180 ერთეულს შეადგენს.[1] კურსის განხორციელების პროცესში ჩართულია ფსიქოლოგი, რომელიც შესაბამისი მეთოდოლოგიის საფუძველზე მოძალადე პირებთან ატარებს სეანსებს. სეანსები შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური. ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა საშუალოდ 8-10 კაცს შეადგენს. სწავლება ხორციელდება იუსტიციის სამინისტროს სისტემის ფარგლებში. ფსიქოლოგის ანაზღაურება 1 თვის განმავლობაში საშუალოდ შეადგენს 1500 ლარს. კურსის განხორციელებისას ასევე აუცილებელია სასწავლო მასალის და შესაბამისი საკანცელარიო ინვენტარის გამოყენება, რაც 1 თვის განმავლობაში ერთი ჯგუფის შემთხვევაში საშუალოდ შეადგენს 1000 ლარს.

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, რომ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის კომპონენტი გათვალისწინებული იქნეს სასწავლო პროგრამებში. აღნიშნული ვალდებულების შესასრულებლად შეიძლება საჭირო გახდეს მასწავლებელთა ნაწილის გადამზადება, რომლის დაფინანსებაც მოხდება განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს არსებული ასიგნებიდან.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის თანახმად, პოლიციის უფლებამოსილ თანამშრომელს უჩნდება ვალდებულება გონივრულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 7 დღისა, გადაამოწმოს პირველადი შემოწმების შემდგომ არსებული მდგომარეობა და აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ასახოს ოქმში, აღნიშნული არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რადგან ამ ვალდებულების შესრულება მოხდება შს სამინისტროს არსებული რესურსით.

ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსის დაფინასებამ შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის თანახმად, დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოცემის მოთხოვნის უფლება ეძლევა მათ შორის სოციალურ მუშაკს, აღნიშნული არ გულისხმობს სოციალური მუშაკების რაოდენობის ზრდას, რადგანაც იზრდება სოციალური მუშაკის უფლებამოსილების ფარგლები და არა მათი რაოდენობა. შესაბამისად, აღნიშნული არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას.

---

[1] მოძალადეთა მიმართ გამოცემული დამცავი ორდერების რაოდენობა

1	2015 წელი	- 173
2	2016 წელი	- 178
3	2017 წელი	- 180
4	2018 წელი იანვარი-აგვისტო	- 73

კანონპროექტით პოლიციას ეძლევა თავისი ინიციატივით შემაკავებელი ორდერის გამოცემის უფლებამოსილება. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს შს სამინისტროს არსებული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის უმნიშვნელო ზრდა.

კანონპროექტის თანახმად, დამცავი, შემაკავებელი და იარაღთან დაკავშირებული უფლებების შეზღუდვის ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და პირობების შესრულებაზე ზედამხედველობის წესი დგინდება შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით. აღნიშნული არ არის დაკავშირებული ახალი საზედამხედველო სტრუქტურული ერთეულის შექმნასთან. შესაბამისად, აღნიშნული არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის გაზრდას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა ვალდებულება გაიარონ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სწავლების კურსი და დაფარონ ამ კურსის საფასური, რაც მისი ხანგრძლივობის გათვალისწინებით შეადგენს დაახლოებით 3 000 ლარს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონის პროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი

ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგრეთვე კანონპროექტის მიღება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

აშშ იუსტიციის დეპარტამენტის რეზიდენტი სამართლებრივი მრჩეველი, მაიკ გრანტი

ე) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს პარლამენტის წევრი: სოფიო კილაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს პარლამენტის წევრები: სოფიო კილაძე, რატი იონათამიშვილი, დიმიტრი მხეიძე, ვანო ზარდიაშვილი, ლევან ბეჟანიძე, დავით მათიკაშვილი, სავალან მირზოევი, ანრი ოხანაშვილი, ირაკლი ბერაია, კარლო კოპალიანი, მერაბ ქვარაია, სულხან მახათაძე.